

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის 2018 წლის ანგარიში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 26 იანვარს მიღებულ იქნა N3 დადგენილება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“. ამავე წლის 31 იანვარს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის N21 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო. შექმნის შემდეგ წლის ბოლომდე ჩატარებულია გენდერული თანასწორობის საბჭოს 4 სხდომა, მათ შორის ერთი გასვლითი გაფართოებული სხდომა. საბჭომ შეიმუშავა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებთა 2018-19 წლების სამოქმადო გეგმა და სტრატეგია“, რომელიც 2018 წლის 27 თებერვლის N20 განკარგულებით იქნა დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

2018 წლის პერიოდში გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მიმდინარეობდა მუშაობა დამტკიცებული გეგმისა და სტრატეგიის შესაბამისად სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების შეგროვება-დამუშავებაზე, ასევე გეგმით განსაზღვრულ სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებაზე.

2018 წლის 10 მაისს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ზაალ მამალაძე არასამთავრობო ორგანიზაცია "Mercy corps"-ის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის ძირითად თემას წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობისათვის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ახალი მუნიციპალური სერვისის "ქალთა ოთახის", საინფორმაციო-საკონსულტაციო რესურსცენტრის შექმნის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება.

2018 წლის 15 მაისს პირველი ეროვნული კონფერენცია გაიმართა თემაზე -გენდერული თანასწორობა ადგილობრივ თვითმმართველობაში-გამოწვევები და შესაძლებლობები. კონფერენციას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გენდერული თანასწორობის თავმჯდომარე ზაალ მამალაძე, გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი მარინე ბერაძე და მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერულ საკითხებზე პასუხისმგელი პირი ნინო კაპანაძე ესწრებოდნენ.

2018 წლის 21 ივნისს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარე შეხვდა "ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციის" წარმომადგენლებს, "გამარჯვებულ ქალთა კლუბის" დამფუძნებელს თინათინ ბერუჩაშვილს. დაიგეგმა ჩოხატაურის ორგანიზაციის დაფუძნება. შეხვედრა ლანჩხუთი-ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატის ნინო წილოსანის ჩართულობით შედგა.

2018 წლის 22 ივნისს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით ჩატარდა საბჭოს გასვლითი გაფართოებული სხდომა სოფელ გოგოლესუბანში მცხოვრებ ქალებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ზაალ მამალაძე, საბჭოს წევრები, ქალთა საინფორმაციო ცენტრის ექსპერტები მათა კუპრავა-შარვაშიძე და თამარ გოგლაძე, სახალხო დამცველის წარმომადგენელი გენდერული თანასწორობის საკითხებში თამარ ოგანოვა, ლანჩხუთი-ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლები: ლია ჩხიკვაძე და ვალერი გიორგაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია "ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის წარმომადგენლები ნანა ცინცაძე და სესილი მეგრელიშვილი," გახდი ჩოხატაურის მოხალისე" დამფუძნებლები მარიტა მგალობლიშვილი და თამარ ახალაძე. შეხვედრაზე იმსჯელეს ყველა მნიშვნელოვან

საკითხზე, რაც სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერებას შეეხება. დაიგეგმა სხვადასხვა აქტივობები სოფელ გოგოლესუბნის ქალთა საინიციატივო ჯგუფთან.

2018 წლის 22 ივნისს ქალთა საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა.

2018 წლის 11 ივლისს ჩოხატაურს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა ჩატარა "ფონდი სოხუმის" გენდერულმა კონსულტანტმა გურანდა გვანცელაძემ. შეხვედრას ასევე ესწრებიდნენ ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე ლელა ნაცვალაძე და წევრი ნია მექვაბიშვილი. შეხვედრის ძირითად თემას წარმოადგენდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის განხილვა □□□□ში ცვლილებების შეტანა.

2018 წლის 19 ივლისს ლანჩხუთი-ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატის, ნინო წილოსანის, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან. შეხვედრისას პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს კოორდინატორმა, ანა წურწუშია-ზურაბაშვილმა ისაუბრა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, საკანონმდებლო ცვლილებებზე, ინიციატივებსა და სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებზე.

2018 წლის 30 აგვისტოს ჩატარდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა. განხილულ იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის საკითხი. აღნიშნული საკითხის განხილვის საფუძველს წარმოადგენდა ქალთა საინფორმაციო ცენტრისა და "ფონდი სოხუმის" მიერ მოწოდებული რეკომენდაციები შემუშავებული გეგმის სრულყოფის მიზნით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 31 აგვისტოს N69 განკარგულებით საბჭოს მიერ შემუშავებული ცვლილებები ასახული იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში.

2018 წლის 17 სექტემბერს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა გენდერული თანასწორობის საკითხებში თამარ ოგანოვამ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან და მერის წარმომადგენლებთან.

2018 წლის 15 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა შეხვედრა-დისკუსია გამართეს შრომითი საქმიანობისას და დასაქმებისას დისკრიმინაციის შემთხვევებზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან, ასევე მერიისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებთან.

ქალთა მიმართ ძალადობის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში გენდერული საბჭოს წევრის, მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერულ საკითხებზე პასუხისმგელი პირი ნინო კაპანაძის ინიციატივით საინფორმაციო კამპანია განხორციელდა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისთვის.

2018 წლის 23 დეკემბერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებმა ჩოხატაურელ ქალ მეწარმეებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს რეგიონალურ პროექტში -"მეწარმე ქალთა ბიზნეს ფორუმი". პლატფორმას "ქალები გურიისთვის" ჩოხატაურელი მეწარმე ქალებიც შეუერთდნენ და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები დაისახა, მათი ეკონომიკური გაძლიერებისთვის.

გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით და შესაბამისი რეკომენდაციის საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში პროგრამული კოდი მიენიჭა და ცალკე მუხლი ჩამოყალიბდა „4.2.7 გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის უზრუნველსაყოფად ორგანიზაციული ხარჯი, მოხდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება, მოეწყობა ძალადობის წინააღმდეგ კვირეული, დაფინანსდება გამარჯვებულ ქალთა კლუბის პროექტი.“ (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ)

ასევე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N37 დადგენილებით „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩამოყალიბდა მუხლი 28 - „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა“, რომელშიც გათვალისწინებულია სხვადასხვა პროგრამები.